საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გეგეშიძე დავით ვიქტორის ძე

გეგეშიძე დავით ვიქტორის ძე (დ. 1. I. 1935, ბაღდათი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1985), საქართვ. უმაღლესი სკოლის დამს. მუშაკი (1982), დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1957). თბილ სახელმწ. სამედ. უნ-ტის პრორექტორი (1985–95), ამავე უნ-ტის საზ. მეცნიერებათა კათედრის გამგე (1986-იდან). 1995 აირჩიეს საქართვ. პედ. მეცნ. აკად. წევრად.

გ-ის შრომები ეხება თანამედროვეობასთან რელიგ. ურთიერთობის პრობლემებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას, რელიგ. რწმენისა და მეცნ. ცოდნის ურთიერთობის საკითხებს, რელიგ. სექტანტობის გენეზისს. მისი მონაწილეობით შედგენილია მეცნ. ათეიზმის სახელმძღვანელოები და ლექსიკონები.

თხზ.: სექტანტური იდეოლოგიის რეაქციული არსი (ბაპტიზმი და ორმოცდაათიანელები), თბ., 1966; რელიგიისა და ათეიზმის სპეციფიკის შესახებ, თბ., 1969; რელიგიური რწმენა და მეცნიერული ცოდნა, თბ., 1969 (თანაავტ.); მისტიციზმის რელიგიური ბუნება, თბ., 1971; დიდი კონფლიქტი, თბ., 1972; ათეიზმი, რელიგია, თანამედროვეობა, თბ., 1982; საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა, თბ., 1986.